პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 162 (4672)

1972 წ. 19 აგვისტო, შაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## მატჩი მსოფლიო პირველობაზე

FIDE

## მეთხუთმეტე პარტია

**სპასკი — ფიშერი**

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 d6 3. d4 cd 4. მ:d4 მf6 5. მc3 a6 6. კg5 e6 7. f4 კe7 8. ლf3 ლc7 9. 0—0—0 მbd7 10. კd3 b5 11. ეhe1 კb7 12. ლg3 0—0—0 13. კ:f6 მ:f6 14. ლ:g7 ეdf8 15. ლg3 b4 16. მa4 ე:g8 17. ლf2 მd7 18. მფb1 მფb8 19. c3 მc5 20. კc2 bc 21. მ:c3 კf6 22. g3 h5 23. e5 de 24. fe კh8 25. მf3 ეd8 26. ე:d8 ე:d8 27. მg5 კ:e5 28. ლ:f7 ეd7 29. ლ:h5 კ:c3 30. bc ლb6+ 31. მფc1 ლa5 32. ლh8+ მფa7 33. a4 მd3+ 34. კ:d3 ე:d3 35. მფc2 ეd5 36. ეe4 ე:d8 37. ლg7 ლf5 38. მფb3 ლd5+ 39. მფa3 ლd2 40. ეb4 ლc1+. პარტია გადაიდო.

მეტოქეებმა სიცილიური დაცვა გაითამაშეს. ფიშერმა თავი აარიდა ნაიდორფის მწვავე ვარიანტს, რომელიც VII და XI პარტიებში გამოიყენა. მაგრამ ბრძოლა მაინც უშელავათო გამოდგა. სპასკიმ მე-12 სვლით პრეტენდენტს რთული ამოცანები დაუყენა. ფიშერმა რისკიანი გაგრძელება აირჩია: ჯერ გრძელი როქი გააკეთა, რაც უჩვეულოა ამ სადებიუტო სისტემისთვის, მერე პაიკი შესწირა ინიციატივის დაუფლებისთვის და მაინც, სპასკიმ უკეთესი პოზიცია მიიღო.

შემდგომ თამაშში სპასკი ინიციატივას ავითარებდა, პერსპექტიული პოზიციაც შექმნა, მაგრამ 29-ე სვლაზე პაიკი რომ აიყვანა, თამაშის სადავეებს ფიშერი დაეუფლა, სპასკის ლაზიერი ბრძოლის ეპიცენტრს მოცილებული აღმოჩნდა. ფიშერმა მძლავრად დალაშქრა თეთრი მეფე.

41-ე სვლაზე პარტია გადაიდო. ამ პოზიციაში.

ფიშერი



სპასკი

აქ სვლა სპასკიმ ჩაიწერა. სპეციალისტების აზრით, მხოლოდ გულდასმითი ანალიზით შეიძლება დადგინდეს, აქვს თუ არა ფიშერს მოგების შანსი. ყაიმს კი მუდმივი ქიშით შეუძლია მიაღწიოს.

და მართლაც, გუშინ, თამაშის განახლების შემდეგ პრეტენდენტმა სვლების გამეორებით ყაიმს მიაღწია.

პარტია ასე დასრულდა: 41. ეh2 (ჩაწერილი სვლა) ლa1+ 42. ეa2 ლc1+ 43. ეb2 ლa1+ ყაიმი.

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 9:6 ფიშერის სასარგებლოდ. მეთექვსმეტე პარტია კვირას, 20 აგვისტოს გაიმართება.







ფოტორეპორტაჟი

## პარაშუტით პარაშუტისტები

გუშინ საბჭოთა ქვეყანაში ზეიმით აღინიშნა სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღე. თავიანთ დღესასწაულს წარმატებებით შეხვდნენ საქართველოს დოსააფის პარაშუტისტებიც, რომლებიც სისტემატურად იმაღლებენ ოსტატობას.

ამ სურათებზე სწორედ მათი სახვრთნელი მეცადინეობის მომენტებია აღბეჭდილი.

ბ. ქვათაძის ფოტოები.

## ვიქტორ სანეევის ბრწყინვალე ნახტომი

მიუნხენი, 16 აგვისტო. აქ მიმდინარე წინაოლიმპიურ საერთაშორისო შეჯიბრებაში შესანიშნავ შედეგს მიაღწია მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონმა, თბილისელმა ვ. სანეევმა. მან ყველას აჯობა სამხტომში, მაგრამ საყურადღებო ის გახლავთ, რომ მისი ნახტომი 17,25 მეტრზე საუკეთესოა წლევანდელ მსოფლიოში. ისიც უნდა ითქვას, რომ სანეევმა წლევანდელ სეზონში პირველად გადალახა 17-მეტრიანი ხღვარი.

გაიმარჯვა, აგრეთვე, ევროპის რეკორდსმენმა და ჩემპიონმა, კიეველმა ვ. ბორზოვმა, რომელიც საუკეთესო იყო 100 მეტრზე რბენაში — 10,14 წამი (დრო წამის მეასედების სიზუსტით აღირიცხებოდა).

სამხტომში II ადგილი დაიკავა მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორმა, ბრაზილიელმა ნ. პრუდენსიომ — 16,69 მ, ხოლო III — მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა გ. ბესონოვმა — 16,38 მ.

ბადროს ტყორცნაში მსოფლიო რეკორდსმენი, ერევნელი ფ. მელნიკი პირველ დღეს ბირთვის მკვრელთა შეჯიბრებაში გამოვიდა და II ადგილი დაიკავა (18,48 მ — პირადი რეკორდი). ამ სახეობაში ყველას აჯობა ფიბინგეროვამ (ჩეხოსლოვაკია) — 18,84 მ.

მოსკოველი ნ. კოლესნიკოვა III ადგილზეა 400 მეტრზე რბენაში — 52,9 (გაიმარჯვა იამაიკელმა ი. სონდერსმა — 52,34). ვაჟთა შორის ეს მანძილი ყველაზე სწრაფად, 45,47 წამში ამერიკელმა ფ. ნიუჰაუზმა გაირბინა.

კენიელმა ბ. ჯიპჩომ გაიმარჯვა 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში — 8.27,13 ბულგარელმა ი. ბლაგოევამ — სიმაღლეზე ხტომაში — 188 სმ, ამერიკელმა ჯ. ვუდსმა — ბირთვის ტყორცნაში — 21,16 მ.

მიუნხენი, 17 აგვისტო. წინაოლიმპიურ საერთაშორისო შეჯიბრებაში დიდი ინტერესი გამოიწვია ბადროს მტყორცნელ ქალთა გამოსვლამ. I ადგილი დაიკავა რუმინელმა ა. მენისმა (63,58 მ), II — ერევნელმა ფ. მელნიკმა (63,36), III — მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონმა, რუმინელმა ლ. მანოლიუმ (59,04).

## 19 45

◆ მინსკი, 18 აგვისტო. ბელორუსიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჩემპიონატში მრასპარეზე საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა, მინსკელმა ე. იაროშმა მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლელა სროლაში 599 ქულა დააგროვა 600-დან, ხოლო მისმა თანაქალაქელმა ნ. კონდრატენკოვამ მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 25 მეტრზე მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე შეჯიბრებისას 591 ქულა (294+297) მოაგროვა. ორივე ზემოაღნიშნული შედეგი მსოფლიო რეკორდებზე უკეთესია.

◆ დალასი (ტეხასის შტატი), 18 აგვისტო. მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდმა ოკეანის გაღმა თავისი ტურნეს პირველი მატჩი აქ გამართა — ადგილობრივ „ტორნადოს" შეხვდა. მეტოქეებმა გოლი ვერ გაიტანეს — 0:0. მატჩი ტარტანისსაფარიან სარბიელზე ჩატარდა და 30000 მაყურებელი ესწრებოდა. „ტორნადოს" შემადგენლობაში ორი ბრაზილიელი და ინგლისიდან ჩამოსული რვა ფეხბურთელი თამაშობდა.

◆ პლოეშტი, 18 აგვისტო. რუმინეთისა და სსრ კავშირის ხელბურთელთა ნაკრები გუნდების აქ გამართული ამხანაგური შეხვედრა მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა — 18:17 (10:8). 35-ე წუთისთვის ანგარიში 13:9 იყო რუმინელთა სასარგებლოდ, მაგრამ ამ დროს ერთ-ერთი მასპინძელი ლიკუ 5 წუთით გააძევეს მოედნიდან და საბჭოთა ხელბურთელებმა ანგარიში გაათანაბრეს — 14:14, 15:16. მაგრამ ბოლო წუთებში ბედი რუმინელებს სწყალობდათ. სტუმართაგან ბურთები გაიტანეს: შევჩენკომ (5), კლიმოვმა, პანოვმა (3-3), კულევმა, რიაზანოვმა (2-2), მაქსიმოვმა და გასიიმ. რუმინელთა შორის, როგორც ყოველთვის, ყველაზე შედეგიანი იყვნენ გრუია (5 გოლი) და კიმიდი (4).

## საბჭოთა ოლიმპიელების მეექვსე სტარტი

— ოლიმპიური შეჯიბრება მარტო ათლეტთა სპორტული ოსტატობისა და გამარჯვებისკენ ლტოლვის შემოწმება როდია. ეს გახლავთ ჩვენი პლანეტის ახალგაზრდობის მეგობრობის ურთიერთგაგებისა და მტკიცე კავშირის დემონსტრაცია, — განაცხადა 17 აგვისტოს უცხოელი და საბჭოთა ჟურნალისტებისთვის მოწყობილ პრეს-კონფერენციაზე მიუნხენის XX ოლიმპიური თამაშების მონაწილე საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ს. პავლოვმა. მან თქვა, რომ საბჭოთა დელეგაციის პირველი დიდი ჯგუფი მიუნხენში 20 აგვისტოს გაემგზავრება. 624 კაცში 500 სპორტსმენია. ისინი გამოვლენ პროგრამით გათვალისწინებულ ყველა სახეობაში, გარდა ბალახის ჰოკეისა. საბჭოთა ქვეყნის წარმომადგენლები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ოლიმპიადის კულტურულ პროგრამაში.

სსრ კავშირის ნაკრებში წარმოდგენილია სულ სხვადასხვა პროფესიის ხალხი, სტუდენტები, სამხედრო მოსამსახურეები. საბჭოების ქვეყნის სპორტი მკაფიო დემონსტრაციაა ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებისა, საბჭოთა ხალხების მტკიცე მეგობრობისა, რომლებიც წლეულს სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს ზეიმობენ. საბჭოთა ოლიმპიელთა შორის არიან 26 ეროვნებისა და ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლები.

ოლიმპიურ გუნდში შედიან დებიუტანტებიც და ვეტერანებიც. მაგალითად, ევროპის რეკორდსმენი სიგრძეზე ხტომაში, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ერევნელი ი. ტერ-ოვანესიანი თამაშებში მეხუთედ მონაწილეობს.

1952 წელს ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებში წარმატებით ჩატარებული დებიუტის შემდეგ საბჭოთა ათლეტებისა 565 ოლიმპიური მედალი მოიპოვეს. ბოლო ორ ათწლეულში სსრ კავშირის სპორტულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი ღვაწლი დასდეს ოლიმპიური მოძრაობის სრულყოფას და განვითარებას, სპორტის პროგრესს, ოლიმპიურ თამაშებში ჭეშმარიტი მეგობრობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროს შექმნას.

საბჭოთა სპორტსმენთა წარმატებები საერთაშორისო სარბიელზე პირველ ყოვლისა იმით აიხსნება, რომ ფიზიკური სრულყოფისა და უმაღლესი სპორტული ოსტატობის გზა სსრ კავშირში ყველასთვის ხსნილია. საბჭოთა ფიზკულტურულ მოძრაობას ემსახურება 217 ათასი დიპლომიანი სპეციალისტი, 3 მილიონი საზოგადოებრივი მწვრთნელი. სსრ კავშირში 3 ათასი სტადიონია, 35 ათასი კომპლექსური სპორტული მოედანი, 40 ათასი ტანვარჯიშის დარბაზი, 5 ათასზე მეტი ტურისტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკი. ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობისთვის მნიშვნელოვანი სტიმულია „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსი.

ს. პავლოვმა თქვა, რომ მიუნხენის ოლიმპიადის ორგანიზატორებისა და მათი წინამორბედების გამოცდილებას საბჭოთა სპეციალისტები გულმოდგინედ სწავლობენ, რადგან მოსკოვის კანდიდატურა წამოყენებულია 1980 წლის საზაფხულო ოლიმპიური თამაშების მასპინძლად.

დასასრულ, საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ უპასუხა ჟურნალისტთა შეკითხვებს.

საქპრესი ტელეგრაფით

მძლეოსნობა

ეროვნული ბიბლიოთეკა





235 ლამაზ ქალიშვილში მომავალ ოლიმპიურ ფილმში გადასაღებად უში ბადენბერგი შეარჩიეს, რომელსაც ქვედა სურათზე ხედავთ. ზედა სურათზე აღბეჭდილია XX საზაფხულო ოლიმპიადის სიმბოლოები: ბავარიის დედაქალაქის 290 მეტრიანი ტელეანძა და „მიუნხენის მზეთუნახავი" უში ბადენბერგი.

იგი შეგხვდებათ ხის, ნაჭრის, რეზინისა და პლასტმასისგან ნაკეთები, მაგრამ ყველაზე ძვირფასი „ვალდი" ოქროსია, ოქროსავე ძეწკვზე.

დღეს უკვე გადაწყვეტილია ოლიმპიური ცენტრის მომავალი. ვაჟების ოლიმპიური სოფელი იქნება მიუნხენელთა საცხოვრებელი კვარტალები, სადაც 12 ათასამდე ადამიანი იცხოვრებს. ქალთა კორპუსები გადაიქცევა სტუდენტთა კეთილმოწყობილ ქალაქად 3000 სტუდენტისთვის. რადიოსა და ტელეცენტრის შენობა სპორტული აკადემიის გამგებლობაში გადავა, „ოლიმპია პრესში" სკოლა მოეწყობა, ხოლო პრესის ქალაქი გადაიქცევა ცალკე დასახლებად თავისი უნივერსალური და სხვა სახის მაღაზიებით: ოლიმპიური ლანდშაფტი მიუნხენის მკვიდრთა და მათი სტუმრების დასასვენებელი ადგილი იქნება.

XX ოლიმპიური თამაშები უკვდავყოფილი იქნება მიუნხენის ისტორიაში იმითაც, რომ ქალაქის მმართველობამ ოლიმპიურ ცენტრში ახალაგებულ ქუჩებს, მოედნებსა და ხიდებს ოლიმპიურ მოღვაწეთა და ცნობილ სპორტსმენთა სახელები უწოდა. მოედანი ახალი სტადიონის წინ ამიერიდან კუბერტენის სახელს ატარებს. აქვეა ცნობილი პოლონელი სპორტსმენის, ანტიფაშისტ იანუშ კუსოჩინსკის, გერმანელი ვერნერ ზეელენბინდერის, ინგლისელი ლილიენ ბორდისა და სხვათა სახელობის ქუჩები.

მიუნხენის ოლიმპიური თამაშები სარეკორდო იქნება მნახველთა რაოდენობითაც. სულ გაიყიდება 4345850 ბილეთი, რომელთაგან 1,2 მილიონი საზღვარგარეთს ეკუთვნის. 750 ათასი განაცხადია ბილეთებზე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის და დასავლეთ ბერლინის მოსახლეობისგან. 44 ათასმა გერმანელმა, თითოეულმა 20 ცალკეულ ღონისძიებაზე ბილეთები ლატარიით მოიგო. ოლიმპიური თამაშების გახსნა-დახურვის ცერემონიალზე ბილეთები მხოლოდ უცხოელთათვის იყიდება. გერმანელები ამ ბილეთებს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებენ, თუ ბედი გაუღიმებთ და ლატარიაში მოიგებენ, ბილეთის მოგება კი სამგზავრო თანხასაც ანაზღაურებს.

დიდი მოთხოვნილებაა ოლიმპიური თამაშების ცალკეული ღონისძიებების ბილეთებზე. ოლიმპიური თამაშების გახსნამდე ექვსი თვით ადრე უკვე გაყიდული იყო 2,3 მილიონი ბილეთი, ეს კი გაცილებით მეტია, ვიდრე საერთოდ გაიყიდა მეხიკოში (დაახლოებით 1,9 მილიონი) და ტოკიოში (2 მილიონი). კარგა ხანია ყველა ბილეთი გაიყიდა ოლიმპიადის გახსნის და დახურვის საზეიმო ცერემონიალზე, მძლეოსანთა, ტანმოვარჯიშეთა და მოცურავეთა შეჯიბრებებზე, მოკრივეების, კალათბურთელებისა და ფრენბურთელების ნახევარფინალურ და ფინალურ შეხვედრებზე, ფეხბურთისა და ხელბურთის ფინალურ შეჯიბრებებზე.

თვით მიუნხენის მკვიდრთ და გერმანელებს საერთოდ გაუჭირდებათ ასპარეზობებზე მოხვედრა, ვინაიდან მიუნხენსა და კილში იმდენ უცხოელ სტუმარს ელიან, რამდენიც არც ერთ ოლიმპიადას არ ახსოვს. 94 ქვეყანაში უკვე გაყიდულია 800 ათასზე მეტი ბილეთი, აქედან 20 ათასამდე საბჭოთა სპორტის მოყვარულთა წილად მოდის.

ძალიან ცოტა ბილეთი გამოეყო ოლიმპიური ცენტრის მშენებელთა მრავალათასიან არმიას, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. მშენებლები დამატებით ბილეთებს მოითხოვენ ორგანიზატორებისგან, ძნელად დასაჯერებელი კია, რომ რაიმეს მიაღწიონ. მართალია, თამაშების ორგანიზატორებმა მიუნხენელებს შესთავაზეს ბილეთების მოპოვების ასეთი ორიგინალური ფორმა: ყველა, ვინც დათანხმდება ოლიმპიადის დღეებში თავის ბინაზე უმასპინძლოს თამაშების ერთ სტუმარს, ურიგოდ და არჩევით მიიღებს ბილეთებს. მსურველთა რიცხვმა 10 ათასს გადააჭარბა.

5 ივნისამდე მხოლოდ სპეციალურ ტალონებს იძლეოდნენ. მერე კი დაიწყო მათი გადაცვლა ნამდვილ ბილეთებზე. ყოველივე ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ორგანიზატორებს ყალბი ბილეთების მოზღვავებისა ეშინიათ ბილეთები დაიბეჭდა ერთ სტამბაში, რომელიც ბანკნოტებს ბეჭდავს. ყველა მათგანს პირობითი ნიშნები აქვს, რომელთაც თვით თამაშების ორგანიზატორებიც კი არ იცნობენ.

ოლიმპიადის პროგრამის პარალელურად კილში ჩატარდება საჩვენებელი შეჯიბრება წყალსათხილამურო სპორტში, რომლის ოლიმპიადის პროგრამაში შეტანაც 1976 წლისთვისაა გამიზნული. საჩვენებელ შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს 20 ქვეყნის 35 საუკეთესო სპორტსმენი, მათ შორის, 5 ქალი ამერიკის შეერთებული შტატებიდან. შეჯიბრება ჩატარდება სამ სახეობაში: ტრამპლინიდან ხტომაში, სლალომსა და ფიგურულ სრიალში. ოლიმპიურ საჩვენებელ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი პირველად დაჯილდოვდებიან მედლებით მართალია, ეს მედლები ოლიმპიური არ იქნება, მაგრამ დაჯილდოება ოფიციალურად მოეწყობა.

ოლიმპიურ თამაშებში 181-ჯერ მოეწყობა დაჯილდოების ცერემონიალი. გამარჯვებულთათვის უკვე ჩამოსხმულია 1109 მედალი: 364 — ოქროსი, ამდენივე ვერცხლისა და 381 ბრინჯაოსი, ვინაიდან კრივში და ძიუდოში ნახევარფინალისტები ბრინჯაოს მედლებით დაჯილდოვდებიან. აქაც არის ერთი სიახლე: მედლებზე პირველად აღინიშნება გამარჯვებულთა გვარები, რაც გვარების გამოცხადებიდან ათეულ წამებში გაკეთდება.

ტექნიკური აღჭურვილობით მიუნხენის ოლიმპიადა მის ყველა წინამორბედზე მაღლა დგას. სპორტის ყველა სახეობაში გამოყენებული იქნება დროის გაზომვის სულ ცოტა, ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი სისტემა.

თამაშების ოფიციალურ გახსნამდე 15 თვით ადრე მზად იყო გამომთვლელი ცენტრი, რომლის სამი გამომთვლელი მანქანიდან ერთი-სარეზერვო დაკავშირებულია ოლიმპიური შეჯიბრებების ყველა — 33 ადგილთან. მის ამოცანას შეადგენს რაც შეიძლება სწრაფად მიაწოდოს საორგანიზაციო კომიტეტს, პრესას, რადიოსა და ტელევიზიას, მაყურებლებს ინფორმაციები ოლიმპიური თამაშების ცალკეული შედეგების შესახებ. ასეთი გამოთვლითი ცენტრის მონტაჟი ორგანიზატორებს 20 მილიონამდე დასავლეთგერმანული მარკა დაუჯდათ. ამას გარდა რამდენიმე მილიონი დასავლეთგერმანული მარკა დააბანდა ფირმა „სიმენსმაც".

30-40 მილიონი ფურცელი იქნება საჭირო პრესის, რადიოსა და ტელევიზიის ყველა საჭირო ცნობითა და ოქმით მოსამარაგებლად. ცალკეულ ადგილებში ამ საქმისთვის უკვე მზადაა ოფსეტური ბეჭდვის 29 სტამბა. თამაშების გახსნის წინ ოფიციალური პირები და ჟურნალისტები მიიღებენ სტამბური წესით ნაბეჭდ მასალებს ცალკეული სპორტსმენის პიროვნებისა და მისი სპორტული შედეგების მონაცემებით, ხოლო თამაშების დახურვისას მათვე დაურიგდებათ „მიუნხენის რეზიუმე", ეგრეთ წოდებული ცნობები ყველა შედეგზე ორ ტომად.

ინფორმაციის გადაცემის სისწრაფე ახლა 220-ჯერ მეტია, ვიდრე წინა ოლიმპიადის დროს. შეცდომები ტაბლოზე, თუ კი ეს მოხდა, ისე სწრაფად გასწორდება, რომ ვერც ერთი მაყურებელი ვერ შეამჩნევს.

ყოველივე ზემოთქმული მხოლოდ ერთი მხარეა ოლიმპიური თამაშებისა, მისი სამზადისის ტექნიკური მხარე, მაგრამ მას მეორე მხარეც აქვს და იგი სადღეისოდ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია. ოლიმპიური თამაშები მუდამ იდგა მშვიდობის სამსახურში. ამ მხრივ არც მიუნხენის ოლიმპიადა წარმოადგენს გამონაკლისს. მომავალში ოლიმპიური ცენტრის მშვენება იქნება და, მშვიდობის სიმბოლოც, ის ხეივანი, რომელშიც თამაშების ყველა მონაწილე სახელმწიფოს წარმომადგენლები დარგავენ თავიანთ ქვეყნებში გავრცელებულ ხეებს.

ოლიმპიური შეჯიბრების პარალელურად ორგანიზატორებს ბევრი „მშვიდობიანი მიზნის" ღონისძიებაც გაუთვალისწინებიათ. ამ მხრივ საინტერესოა ოლიმპიური ახალგაზრდული ბანაკი, რომელიც თამაშების დღეებში სტუმრად მიიღებს 2500-მდე ახალგაზრდას, სტუდენტსა და სკოლის მოსწავლეს. ყოველ მეორე დღეს ახალგაზრდული ბანაკის მცხოვრებნი დაესწრებიან სპორტულ შეჯიბრებებს, დანარჩენ დღეებში საორგანიზაციო კომიტეტს მათთვის გათვალისწინებული აქვს ღონისძიებების მრავალფეროვანი პროგრამა. მოეწყობა ექსკურსიები და შეხვედრები, დასვენების საღამოები, დისპუტები. დაესწრებიან ოლიმპიური თამაშების პრობლემებზე გამართულ სამეცნიერო კონგრესს, ეწვევიან გფრ-ის ფიზკულტურისა და სპორტის ინსტიტუტს, შეხვდებიან ოლიმპიური სპორტის ორგანიზატორებს და სახელოვან სპორტსმენებს — ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებს, დაესწრებიან თამაშების კულტურული პროგრამის ცალკეულ ღონისძიებებს.

როგორიც უნდა იყოს ოლიმპიადის სპორტული შედეგები, ფაქტი ერთია, რომ მიუნხენის ოლიმპიური თამაშები მსოფლიოს მშვიდობიანმა ძალებმა ხალხთა შორის მეგობრობის, კაცობრიობის პროგრესის, მშვიდობის ტრიუმფის ასპარეზად უნდა გამოიყენონ.

ო. მელქაძე,
ა. როგავა.

მიუნხენი — თბილისი.

## რეკორდები

მოსკოვი, 17 აგვისტო. სსრ კავშირის მძლეოსანთა ნაკრების ერთმა ნაწილმა უკანასკნელ წინაოლიმპიურ რეპეტიციაში — მოსკოვის ღია პირველობაში იასპარეზა. შესანიშნავ წარმატებას მიაღწია კიეველმა ე. არჟანოვმა 800 მეტრზე რბენაში. პირველი წრის შემდეგ მან ზუსტად გაიმეორა საკავშირო რეკორდის გრაფიკი (400 მ — 51 წამი), ფინიშისკენ კი სპრინტერივით გაიქცა და პირველი მივიდა მიზანთან — 1.45,3. ეს შედეგი 0,2 წამით სჯობს ამ 24 წლის სპორტსმენის ძველ საკავშირო რეკორდს და მეორეა წლეულს ევროპაში.

ასევე საკავშირო რეკორდი იშვა 5000 მეტრზე რბენაში. შეჯიბრებას სათავეში რიგრიგობით უდგნენ ჯორონეჟელი ნ. სვირიდოვი, მოსკოველი ვ. აფონინი და ჩებოქსარელი ნ. პუკლაკოვი. ამ სამეულმა მაყურებელთა ტაშში გადაკვეთა ფინიში — 13.33,2. I ადგილი პუკლაკოვს ხვდა. ქვეყნის ძველი მიღწევა 0,4 წამითაა გაუმჯობესებული.

საკავშირო რეკორდი დაამყარა, აგრეთვე, ლენინგრადელმა რ. შარაფეტდინოვმა, რომელმაც 3000 მ 7 წუთსა და 50,6 წამში გაირბინა.

25 წლის ესფირ დოლჟენკომ 19,36 მეტრზე ჰკრა ბირთვი, რაც მეორე შედეგია წლეულს სსრ კავშირში, მეხუთე — მსოფლიოში და მოლდავეთის რეკორდიცაა. ვაჟთა შორის ლიტვის რეკორდი დაამყარა რ. პლუნგემ, რომლის ბირთვი 20,24 მეტრზე დაეცა (მეორე შედეგი წლეულს სსრ კავშირში).







სურათებზე: მიუნხენის XX საზაფხულო თამაშების მონაწილე საბჭოთა სპორტსმენთა ოლიმპიური ფორმა.

ვ. უნ და-სინის ფოტო (საქდესი).

# წინაოლიმპიური მოზაიკა

### იგი პირველი იქნება

მონაწილეთა სახელით XX ოლიმპიადის გახსნაზე ოლიმპიურ ფიცს სპორტის ისტორიაში პირველად წარმოთქვამს ქალი. ეს იქნება გფრ-ის გუნდის წევრი, თარჯიმორბენალი ჰაიდი შიულერი. ფიცის სიტყვები ასეთია: „ყველა სპორტსმენის სახელით ფიცს ვდებ, რომ ამ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის დროს გამოვიჩენთ ჭეშმარიტ სპორტულ სულისკვეთებას, პატივს ვცემთ და დავიცავთ მის ყველა წესს სპორტის სადიდებლად და ჩვენი გუნდების ღირსების დასაცავად".

შიულერი სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობს. იგი 22 წლისაა.

### რეკორდები, რეკორდები...

უკვე ცნობილია, რომ XX ოლიმპიურ თამაშებში სპორტსმენთა სარეკორდო რაოდენობა მიიღებს მონაწილეობას: 8485 ვაჟი და 1603 ქალი 123 ქვეყნიდან. თამაშებს დაესწრება 3820-მდე ოფიციალური პირი (მწვრთნელები, გუნდების ხელმძღვანელები, ექიმები, მასაჟისტები და ა. შ.). შედარებისთვის: ამ ოთხი წლის წინ მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში სულ 6059 სპორტსმენი მონაწილეობდა.

სარეკორდო იქნება გახსნის ცერემონიის მონაწილეთა რიცხვიც. 12 ათასამდე. მათ შორის, 3200 ბავშვი.

### ოლიმპიური ჭალა

მასპინძლები სტუმრებს ამაყად უჩვენებენ ოლიმპიურ ჭალას, სადაც ორმოცზე მეტი სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოტანილი ხეებია დარგული. კურიოზები აქაც მოხდა: კენიის ოლიმპიურმა კომიტეტმა, მაგალითად, მასპინძლებს აცნობა, რომ მიუნხენის შესაფერისი მცენარე არა აქვს და სამაგიეროდ დაჰპირდა, ლომს გამოგიგზავნითო.

### მიუნხენში ცხელა

მიუნხენში აუტანელი სიცხეა. თერმომეტრი ჩრდილში 32 გრადუსს უჩვენებს. ოლიმპიურ სოფელში და სპორტულ ქალაქში ყველაზე ხალხმრავლობა იქაა, სადაც წყალი ეგულებათ. ყველა შადრევნებისა და ოლიმპიური ტბისკენ მიიჩქარის.

მეტეოროლოგების აზრით, ტემპერატურის დაცემა მოსალოდნელი არ არის. მხოლოდ იმას ამბობენ, უახლოეს ხანებში მიუნხენს ჭექა-ქუხილი გადაუვლისო.

### ნადირობა... დროშებზე

მიუნხენმა უკვე საზეიმო იერი მიიღო. ქალაქის ქუჩებში და მოედნებზე 6500-ზე მეტი დიდი ოლიმპიური დროშა ფრიალებს. მაგრამ ორგანიზატორები გასაჭირში ჩაცვივდნენ: დროშებს სუვენირების მოყვარულები იპარავენ. ალმები კი მიუნხენში 536 სხვადასხვა ადგილზეა გამოფენილი და მათ დასაცავად პოლიციელები არ ჰყოფნით. ახლა ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს ანძებს ცხიმი წაუსვან და ლურსმნები დააჭედონ.

# მიუნხენი-72

## სსრ კავშირის პირველობა

### II ლიგა ზონა

17 აგვისტოს გაიმართა მორიგი ტურის კალენდარული შეხვედრები.

ბათუმში შემდგარ მატჩზე ჩვენი კორესპონდენტი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ო. მურჯანიძე გვატყობინებს:

ბათუმის დინამოელებს პირველი წრის მატჩი ტირასპოლში წაგებული ჰქონდათ ადგილობრივ „ზვეზდასთან" — 0:2. ცხადია, ისინი რევანშის აღების წყურვილით გამოვიდნენ მინდორზე.

პირველი წუთებიდან ისე ჩანდა, რომ მასპინძლებს შეეძლოთ წარმატების თოლად მოპოვება: „ზვეზდის" კართან ზედიზედ შეიქმნა რამდენიმე უკიდურესად მწვავე მომენტი. ბურთის გატანის შესაძლებლობანი ვერ გამოიყენეს ყიტაიშვილმა, ქორიძემ, მაგრამ თავის მხრივ სახიფათო ვითარება შექმნეს სტუმრებმაც, კერძოდ, მე-11 წუთზე პავლოვმა ძლივს მიუსწრო საკის მიერ შორიდან ძლიერად დარტყმულ ბურთს. იყო შემთხვევა, როცა ტირასპოლელთა ცენტრალური თავდამსხმელი ბასოვი ცარიელი კარის პირისპირ აღმოჩნდა, მას შემდეგ, რაც გვერდი აუარა მცველებსაც და პავლოვსაც. ბათუმელები მხოლოდ ძელმა იხსნა. და, მაინც, უპირატესობა დინამოელებს ჰქონდათ.

შესვენების შემდეგ წამოვიდა კოკისპირული წვიმა, რომელმაც ერთიანად გუბეებით დაფარა მინდორი. ბათუმელები განაგრძობდნენ იერიშებს და ბოლოს მაინც მიაღწიეს საწადელს: 61-ე წუთზე ცენტრალურმა მცველმა სირბილაძემ ღრმა რეიდი შეასრულა, მისი დარტყმა მოიგერიეს მცველებმა, მაგრამ ბურთი მოხვდა ჩხარტიშვილთან და ამ უკანასკნელისგან ბადეში აღმოჩნდა — 1:0.

გამარჯვებულთაგან აღნიშვნის ღირსნი არიან გიორგიადი, სირბილაძე, გაგუა, ჩხარტიშვილი.

* * *

რუსთავში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „მეტალურგი" და „კალიტვა" (ბელაია კალიტვა). ამ მატჩის შესახებ მოგვითხრო ჩვენმა რუსთაველმა კორესპონდენტმა რ. ბაბრიშვილმა:

რუსთავის ფეხბურთელებმა მორიგი მარცხი იწვნიეს. გოლი, რომელმაც მატჩის ბედი გადაწყვიტა „კალიტვას" სასარგებლოდ, 25-ე წუთზე გავიდა. ეს ასე მოხდა: კრავჩენკომ შორიდან დაარტყა, ბურთი მოხვდა წიკლაურს და მასპინძელთა კარში ჩაიჭრა.

მეტალურგებს შეეძლოთ წაგებისაგან თავი დაეღწიათ: ბურთის გატანის შესაძლებლობა მიეცათ ბაჩიაშვილს, ალადაშვილსა და სხვებს, მაგრამ სტუმრებმა თავგამოდებით ითამაშეს დაცვაში და გამარჯვებაც შეინარჩუნეს.

რუსთავის „მეტალურგს" ამჟამად ახალი მწვრთნელი ჰყავს — სპორტის ოსტატი ა. კოტრიკაძე. იმედი უნდა ვიქონიოთ, მისი ხელმძღვანელობით კოლექტივი თავს არ დაზოგავს, რათა შეძლებისდაგვარად გამოასწოროს სერიოზული წარუმატებლობა.

* * *

ძალიან საინტერესო მატჩი ჩატარდა გორში. ჩვენი კორესპონდენტი ბ. ბოზალიშვილი გვატყობინებს:

მაყურებელთა დიდი ინტერესი მატჩის მიმართ კასაგებია: გორში ამ დღეს ჩამოდიოდა ზონის ერთპიროვნული ლიდერი — კრასნოდარის „ყუბანის" ძლიერი კოლექტივი.

გორელებმა დასაწყისშივე განახორციელეს რამდენიმე საიერიშო კომბინაცია, რომელთა შედეგადაც შეიძლებოდა წარმატების მიღწევა, მაგრამ „ყუბანის" კარი აშკარა სახიფათო მომენტებს გადაურჩა. მაგალითად, კოჩიაშვილი — ხანიშვილი — ქერდიკაშვილის კომბინაციის შემდეგ ბურთი სულ ოდნავ ასცდა მიზანს, ცოტა ხანში ხუციშვილი პირისპირ აღმოჩნდა სტუმრების კართან და უზუსტოდ დაარტყა. თავის მხრივ არც კრასნოდარელები ჩამორჩნენ და მათაც შექმნეს კრიტიკული სიტუაციები „დილის" კართან.

კიდევ უფრო დაძაბული გამოდგა ბრძოლა შესვენების შემდეგ. ტაიმი მასპინძელთა საგრძნობი უპირატესობით მიმდინარეობდა. საბოლოოდ, 90-წუთიან ბრძოლას გოლი არ მოჰყოლია — 0:0.

აუცილებელი აღნიშვნის ღირსია როსტოველი არბიტრის პ. კრავჩენკოს ერთობ არაკვალიფიციური და, რაც მთავარია, მიკერძოებული მსაჯობა. მან მატჩი ჩაატარა ძალიან ცუდად და მაყურებელთა სამართლიანი უკმაყოფილება დაიმსახურა.

### [illegible]

ასე დამთავრდა: „დრუჟბა" (მაიკოპი) — „კოლხეთი" (ფოთი) 1:0, „მეტალურგი" (ლიპეცკი) — „სპარტაკი" (ორიოლი) 3:0, „შრომითი რეზერვები" (კურსკი) — „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) 3:1, „სალუტი" (ბელგოროდი) — „მაშინოსტროიტელი" (პოდოლსკი) 2:0, „მეცხალი" (მახარაძე) — „დინამო" (ბრიანსკი) 3:0.

## „სიჭაბუკის თასზე"

ნოვოჩერკასკი, 17 აგვისტო (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ გრძელდება „სიჭაბუკის თასის" საკავშირო ფინალური გათამაშება ნორჩ ფეხბურთელთა შორის.

საქართველოს ნაკრების მეტოქეები ამ დღეს უკრაინის ფეხბურთელები იყვნენ. უაღრესად მწვავე შეხვედრა ჩვენმა გუნდმა საუცხოოდ ჩაატარა და გაიმარჯვა ანგარიშით 2:0. ბურთები გაიტანეს ომიაძემ და ვლაშჩენკომ. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ მცველ კოსტავასა და ნახევარმცველ ჟვანიას კარგი თამაში.

აზერბაიჯანის გუნდმა ანგარიშით 2:1 დაამარცხა რსფსრ-ს ნაკრები, ხოლო ბელორუსიის კოლექტივმა — მოსკოვის გუნდი — 2:1.

**ნ. ამირეჯიბი,**
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

## „ტყავის ბურთის" პრიზზე

კრასნოდარი, 18 აგვისტო (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). საინტერესოდ მიმდინარეობს „ტყავის ბურთის" პრიზის გათამაშების მონაწილე ნორჩ ფეხბურთელთა საკავშირო ფინალური ტურნირი (უფროსი ასაკობრივი ჯგუფი).

საქართველოს ფეხბურთელებმა გაიმარჯვეს უზბეკეთისა და ყაზახეთის გუნდებთან, ამასთან ორივეჯერ ანგარიშით იყო 2:0.

ახლა ჩვენს გუნდს ჩასატარებელი დარჩა შეხვედრა ტაჯიკეთთან მაგრამ, მატჩის შედეგის მიუხედავად, ნახევარფინალში მონაწილეობა უზრუნველყოფილი აქვს.

**ო. უშვერიძე.**

## ფინალში: „დინამო" (ზუგდიდი) — „კახეთი" (თელავი)

საქართველოს თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური მატჩი ზუგდიდის „დინამოსა" და ცხაკაიას „ეგრისს" შორის, როგორც ვიტყობინებოდით, დამთავრდა ფრედ — 1:1. მეორე დღეს მეტოქენი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს და გადათამაშებამ წარმატება ზუგდიდელებს მოუტანა — 6:2.

ამრიგად, რესპუბლიკური თასის გათამაშების ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან ზუგდიდის „დინამო" და თელავის „კახეთი". გადამწყვეტი მატჩი შედგება თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე 22 აგვისტოს. დასაწყისი 18 საათსა და 30 წუთზე.



საინტერესოდ ჩატარდა „განთიადის" რუსთავის საქალაქო თასის გათამაშება საშუალო ასაკის ფეხბურთელთა გუნდებს შორის. გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ქიმიური ბოჭკოს ქარხნისა და № 1 სამშენებლო ტრესტის რკინა-ბეტონის ნაკეთობათა კომბინატის კოლექტივები. წარმატება წილად ხვდათ ქიმიური ბოჭკოს ქარხნის ფეხბურთელებს — 1:0. ეს ერთადერთი ბურთი შესვენებამდე გაიტანა თავდამსხმელმა ჟ. წულაიამ.

სურათზე: ფინალური მატჩის მომენტი.

რ. გაბრიჭიძის ფოტო.

## სტარტი სოხუმში

სოხუმში დაიწყო სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის ტრადიციული საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. სატურნირო ცხრილი წილისყრით ასე შეივსო: 1. მ. მუხინი, 2. რ. ხოლმოვი (ორივე — სსრ კავშირი), 3. ვ. იანსა (ჩეხოსლოვაკია), 4. კ. ხონფი (უნგრეთი), 5. ნ. კიროვი (ბულგარეთი), 6. ი. მურეი, 7. ე. გუფელდი, 8. მ. ტაიმანოვი (სამივე — სსრ კავშირი), 9. ჰ. რეე (ჰოლანდია), 10. რ. ჰიუბნერი (გფრ), 11. მ. ტალი (სსრ კავშირი), 12. დ. სათლზი (კანადა), 13. ვ. სავონი (სსრ კავშირი), 14. ლ. ესპიგი (გდრ), 15. ა. ბელიავსკი, 16. ვ. ლიბერზონი (ორივე — სსრ კავშირი).

I ტურში სამი პარტია გადაიდო. ტაიმანოვმა მოუგო რეეს, კიროვმა — სათლზს. ყაიმით დამთავრდა მეორე — ტალისა და იანსა — ესპიგის პარტიები. გადადებულ შეხვედრათა შორის არის თბილისელი დიდოსტატის გუფელდის პარტია ჰიუბნერთან.

## მაღალი შედეგები

**ლაიპციგი, 17 აგვისტო.** 25 წლის რეგინა კლაინაუმ გდრ-ის რეკორდი დაამყარა 1500 მეტრზე რბენაში — 4.07,6. ეს მეორე შედეგია მძლეოსნობის ისტორიაში და კრასნოდარელი ლ. ბრაგინას მსოფლიო რეკორდს სულ 0,7 წამით ჩამოუვარდება.

**დრეზდენი, 17 აგვისტო.** მარგიტ ოლფერტმა აქ გამართულ შეჯიბრებაში 2 სანტიმეტრით გააუმჯობესა გდრ-ის რეკორდი, როცა 672 სმ სიგრძეზე გადახტა (საუკეთესო შედეგის გამეორება წლევანდელ მსოფლიოში). II ადგილზე გასული ა. ლიბში შესანიშნავად გადახტა — 660 სმ.

## დაკარგული წამის ფასი

16 აგვისტოს მოსკოვში გრძელდებოდა ევროპის ჩემპიონატი წყალქვეშ ცურვის ჩქაროსნულ სახეობებში. სსრ კავშირის ნაკრებმა (ი. ფალომკინა, ს. ანი, ი. ავდეევა და ტ. ნიკიფოროვა) ფარფლებით 4 × 100 მეტრზე ესტაფეტაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 3.20,84. უწინდელი მიღწევაც საბჭოთა სპორტსმენებს ეკუთვნოდათ — 3.29,9. II ადგილზე არიან გდრ-ის სპორტსმენები — 3.29,74, III — გფრ-ის წარმომადგენლები — 3.35,78.

ვაჟთა ასეთსავე ესტაფეტაშიც საბჭოთა მოცურავეებმა გაიმარჯვეს (შ. კარაპეტიანი, ს. ბოლოცკოვი, ვ. ვოლკოვი და ვ. კონი) — 2.49,25. II-III ადგილებზე არიან გდრ-ისა (3.03,84) და საფრანგეთის (3.07,31) გუნდები.

საღამოს შეჯიბრებაშიც საბჭოთა სპორტსმენები ლიდერობდნენ. 400 მეტრზე წყალქვეშ ცურვაში ნოვოსიბირსკელმა ვოლკოვმა (3.33,8) და ერევნელმა კარაპეტიანმა (3.43,0) შესაბამისად ოქროსა და ვერცხლის მედლები მოიპოვეს. აქ მესამე იყო 30 წლის როსტოკელი (გდრ) ინჟინერი დ. მაიერი — 3.47,8.

წინადღეს 23 წლის ტომსკელმა ინჟინერმა ა. შუმკოვმა ყველას აჯობა 800 მეტრზე ფარფლებით ცურვაში — 7.38,41.

17 აგვისტო ასპარეზობის ბოლო დღე იყო. დილითვე ორი ოქროს მედალი მოიპოვა ნოვოსიბირსკელმა ფალომკინამ: პირველი — 200 მეტრზე ფარფლებით ცურვაში (1.52,39), მეორე კი 25 მეტრზე ყვინთვაში — 9,60.

200 მეტრზე ფალომკინასთვის დიდი მეტოქეობა არავის გაუწევია, მაგრამ ყვინთვაში ბრძოლა უაღრესად დაძაბული იყო. ამ სახეობაში 23 სპორტსმენი ქალი ასპარეზობდა. ფალომკინამ მესამე გაცურვაში აიღო სტარტი და მაინცდამაინც კმაყოფილი არ იყო. „მაჯობებს ავდეევა, უსათუოდ მაჯობებს", — ამბობდა იგი და აღელვებული ბოლთას სცემდა. ეს აღელვება გასაგები იყო: მსოფლიო რეკორდი (9,3) ხომ ტომსკელ ირინა ავდეევას ეკუთვნის, რომელიც ბოლო გაცურვაში გავიდა სტარტზე.

როცა ავდეევა სტარტისთვის უკვე მზად იყო და მსაჯმა პისტოლეტი აღმართა, დიქტორმა წინა გაცურვის შედეგების გამოცხადება დაიწყო. ირინამ მას დაუგდო ყური და გასროლა გამოეპარა. ასე დაკარგა მან 0,5 წამი და შესაძლებელი გამარჯვება.

ამ დღეს დამყარდა მსოფლიო რეკორდი ფარფლებით 1500 მეტრზე ცურვაში ვაჟთა შორის. საბჭოთა ნაკრების კაპიტანმა შუმკოვმა წამით გააუმჯობესა თავისივე უწინდელი მიღწევა. მისი შედეგია 14.34,86.

გამოვლინდა გამარჯვებული 200-მეტრიან დისტანციაზე ფარფლებით მოცურავე ვაჟთა შორის. ესაა მოსკოველი ა. კრიუკოვი — 1.38,08.

საბჭოთა ქალებმა — ტალინელმა ბულალტერმა ანიმ და მოსკოველმა სტუდენტმა ნიკიფოროვამ ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარეს 400 მეტრზე ფინალურ შეჯიბრებაში. ანის შედეგია 4.06,15, ნიკიფოროვასი — 4.05,50. მანამდე რეკორდი ნიკიფოროვას ეკუთვნოდა და 4.06,08 იყო. ამავე ვარჯიშში ვაჟთა შორის პირველობდა კრიუკოვი — 3.35,75.

ავდეევამ მესამე მსოფლიო რეკორდი დაამყარა 100 მეტრზე წყალქვეშ ცურვაში — 45,82. მან ერთი წამით გააუმჯობესა თავისივე მსოფლიო მიღწევა. ამ სახეობაში ვაჟთა შორის გაიმარჯვა კარაპეტიანმა — 40,40.

საბჭოთა გუნდმა გაიმარჯვა ფარფლებით 4 × 200 მეტრზე ცურვაშიც: 6.42,91.

ამგვარად, საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს ჩემპიონატში გათამაშებული ოცივე ოქროს მედალი, აგრეთვე, 13 ვერცხლისა და 7 ბრინჯაოს მედალი. ისინი პირველნი იყვნენ საერთო გუნდურ ჩათვლაში.

19 აგვისტოს სერებრიანი ბორში, მდინარე მოსკოვზე მოეწყობა ქალთა (4 კმ) და ვაჟთა (6 კმ) შეჯიბრებები ევროპის თასზე მარათონულ ცურვაში.

(საკდესი).

## 57 მეტრი ორ წუთში

რომი, 17 აგვისტო. იტალიელი სპორტსმენი, ქალაქ სირაკუზის მცხოვრები ენცო მაიორკა ორ წუთში ზღვის წყალში 57 მეტრ სიღრმეზე ჩაეშვა, ისე, რომ არც სპეციალური ტვირთი ჰქონდა, არც ფარფლები, არც სასუნთქი აპარატი. მასვე ეკუთვნოდა უწინდელი რეკორდი — 54 მ. ენცოს ორი მსაჯი ადევნებდა თვალს — საფრანგეთისა და შვეიცარიის წარმომადგენლები. მათ რამდენიმე მყვინთავი ახლდათ, რომელთაც სასუნთქი აპარატურა ჰქონდათ.

შარშან მაიორკამ რეკორდი დაამყარა ტვირთით ჩაშვებაშიც — 77 მ. ახლა მას განზრახული აქვს ეს რეკორდი 80 მეტრამდე გაზარდოს.

## [illegible]-72

● მოსკოვი, 16 აგვისტო. დღეს კანადაში გაფრინდნენ სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელები ბ. კულაგინი და ა. ჩერნიშოვი, რომლებიც კანადის პროფესიონალი ჰოკეისტების საწვრთნელ შეკრებას დაესწრებიან (როგორც ცნობილია, კანადელები სსრ კავშირის ნაკრებთან მატჩებისთვის ემზადებიან). თავის მხრივ, 17 აგვისტოს მოსკოვში ჩამოვლენ ჰოკეის კანადელი სპეციალისტები დ. არმსტრონგი და ჯ. რუელი. პირველი მათგანი ტორონტოს ჭაბუკთა გუნდის მწვრთნელია, მეორე კი მონრეალის კლუბის ერთ-ერთი დამრიგებელი. უფრო მოგვიანებით კანადაში გაემგზავრებიან საბჭოთა არბიტრები ვ. დომბროვსკი და ი. კარანდინი, რომლებიც ჰოკეის სამშობლოში მოწინავე პროფესიული გუნდების რამდენიმე მატჩს მოემსახურებიან. სსრ კავშირში კი ჩამოვიდა კანადელი მსაჯი ა. ნეიდინი. იგი ახლა გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" პრიზის გათამაშების მატჩებს არბიტრობს.

● ლენინგრადი, 17 აგვისტო. მოჭადრაკე ქალთა დღეს აქ დამთავრებულ საერთაშორისო ტურნირში I-II ადგილებზე გავიდნენ სსრ კავშირის ჩემპიონი, ლენინგრადელი ი. ლევიტინა და ოსტატობის კანდიდატი, გორკელი ე. ეპშტეინი — 9,9 ქულა. გამარჯვებულებმა 7-7 პარტია მოიგეს, 2-2 წააგეს და 4-4 ყაიმით დაამთავრეს. ეს ამ 18 წლის მოჭადრაკეების პირველი გამარჯვებაა საერთაშორისო ტურნირში. თანაც ეპშტეინმა ოსტატის ნორმატივი შეასრულა. III ადგილზეა საერთაშორისო ოსტატი შ. ვოკრჟალოვა (ჩეხოსლოვაკია) — 8,5 ქულა.

**რედაქტორი მ. პაპაბაძე.**

თბილისის „ლოკომოტივის" საცურაო აუზზე (ორთაჭალესთან) განახლდა მიღება ცურვის შემსწავლელ და გამაჯანსაღებელ ჯგუფებში.

დაწვრილებითი ცნობები — აუზის დირექციაში.

ჩვენი მისამართი ტელეფონები

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი 8, ლენინის ქ. № 14 (ინდექსი 380008), დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99 56 14, რედაქტორის მოადგილე — 93 97 51, პასუხისმგებელი მდივანი — 93 97 52, მასობრივ ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93 97 55, სპორტული განყოფილება — 99 56 47, 93 97 53, ფეხბურთის განყოფილება — 99 81 71, 93 97 56, ჭადრაკის განყოფილება — 93 97 57, წერილების განყოფილება — 93 97 54, მემანქანეთა ბიურო — 93 97 59, ფოტოლაბორატორია — 93 97 58, გამომშვები — 93 93 81, კორექტორები — 93 97 49.